137.
1936.

(38)

[illegible]

(38)

1936 წ.

№1

პოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ოქტომბრელი“

საქ. ა.ლ.კ.კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთვიური ორგანო.

№ 1

იანვარი 1936 წ.

წელიწადი მე-10

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. № 3-02-61

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

საჩუქრები ოქტომბრელებისაგან . . . . . ყდის მეორე გვერდზე
1. ნაძვის ხე ჩვენს სკოლაში (ლექსი) — **ს. ფაშალიშვილისა** . . . 1
2. ვინ იყო ის? — **შ. თაბუკაშვილისა** 2
3. მედეას ლეკვი (ლექსი) — **პაოლო იაშვილისა** 4
4. ფრიადოსანი ცირა (ლექსი) — **გ. კაჭახიძისა** 6
5. ლენინი და სიმართლე — თარგ. რუსულიდან **მ. მიქალაძის** მიერ 6
6. ძველი ამბავი (მოგონება) — **ეკ. გაბაშვილისა** 9
7. ლენინის პორტრეტი (ლექსი) — **გ. ქუჩიშვილისა** 11
8. მკვდარი ლაპარაკობს — **შ. ფარცხნალელისა** 11
9. 1) გლეხი და კიტრები, 2) ბულკა (ლ. ტოლსტოისა) — თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა** 13
10. გემის ნახვა (ლექსი) — **ირაკლი აბაშიძისა** 14
11. მამალი (მოთხრობა) — **ლავრენტი ჭიჭინაძისა** 15
12. მეფის წყალობა (მოთხ.) — **კლავდია დევდარიანისა** 16
13. საუბარი ოქტომბრელებთან — **ივ. გომართელისა** 18
14. ხარბი კატა — **ს. შანშიაშვილისა** 20
15. იცი თუ არა? — **ნ. ქ-ლისა** 20
16. ჯორჯ სტეფენსონი და პირველი რკინის გზა — **კლიმ. თევზაძისა** 22
17. ზამთარი (ლექსი) — **ქეთო მღვიმელისა** 23

ბავშვთა შემოქმედება

18. საშეფო სოფელში (მოთხ.) — **ლენა გოგოლაშვილისა** 24
19. ხალხური ამოცანები . . . . . ყდაზე
20. რა ფრინველია (გამოცანა) — **ალ. საჩონოელისა** . . . . . ყდაზე
21. აკროსტიხი — **კლ. თევზაძისა** . . . . . ყდაზე

პ/მგ. რედაქტორი ბაბო ჭაჭიაშვილი, პ/მგ. მდივანი ლ. ჭიჭინაძე

მთ. №10511 ტირაჟი 17.800, შეკვ. № 1110 სახ. მე-3 სტამბა, წერეთლის ქ. № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე, სულ ორიოდე კვირის შემდეგ კომკავშირის მეათე ყრილობა გაიხსნება. ეს ამბავი ცუგრუმელა ოქტომბრელებმაც გაიგეს. არამც თუ გაიგეს, მათ საჩუქრებიც დაამზადეს ყრილობაზე გასაგზავნათ.

ციალა აბაკელია

აგერ ბუთხუზა, წითელ ლოყება ციალა აბაკელია (ტფ. I საცდელი სკოლა), ის მზრუნველობით დასტრიალებს თავის დამზადებულ საჩუქარს. მერე და იცით ეს საჩუქარი რას წარმოადგენს? ციალამ მას ასე უწოდა: „ზამთარი სოფლად". ამ სახელწოდებას მშვენივრად ამართლებს ციალას საჩუქარი.

აი, დგას დათოვლილი სახლი, ეზოში ფოთლებისაგან გაძარცული, თოვლისგან ტოტებ-დამძიმებული ხე აყუდებულა, მეორე მხარეს უზარმაზარი თოვლის კაცი დგას, მას ყელზე წითელი ყელსახვევი აქვს გაკეთებული. თოვლის კაცის ირგვლივ კი დგანან ხელიხელ ჩაკიდებული, ქაღალდისაგან ლამაზად გამოჭრილი ბავშვები და თამაშობენ...

მართლაც ნამდვილი თოვლია... ნამდვილი ზამთარი...

შავთვალება ნათელა სვანიძეს გაზაფხული უყვარს, სწორედ ამიტომაც განიზრახა მან ყრილობისათვის „გაზაფხული" მიეძღვნა.

აი რა გვითხრა ნათელამ თავისი საჩუქრის შესახებ.

— ეს აივნიანი სახლი ქაღალდისაგან გავაკეთე, სახლის ირგვლივ ეზო შემოვლობე, ეზოში ამწვანებული ხეები დავრგი. უკან მთა.

მთაზე მწყემსი მიდის და ძროხას მიერეკება, აქვე ნაკადულიც მოჩუხჩუხებს. ეზოში ჭა მინდოდა გამეკეთებინა, —განაგრძობს ნათელა,—ჭასთან ქალი, რომელიც ჭიდან წყალს იღებდა, იქვე მობალახე ცხენები, მაგრამ ველარ მოვასწარი... სთქვა მან და შავი თვალები შემოგვანათა.

საჩუქრები ბევრი, ძალიან ბევრი დაამზადეს ოქტომბრელებმა. ოქტომბრელ ირაკლი სალაძეს (მესამე კლასი) ჩელუსკინის ხიდი გაუკეთებია, ქუთათელაძეს კი ტილოზე ყვავილების კონა ამოუქარგავს ფერადი ძაფებით. ნათელა კოპალეიშვილს (ტფ. მე-7 სკოლა) მშვენიერი პარაშუტის კოშკი აუმართავს. მეთოთხმეტე სკოლის ოქტომბრელებს ფანერისაგან ლამაზი ტრამვაის ვაგონი გაუკეთებიათ. ყველა, თითქმის ყველა ოქტომბრელი ცდილა გამოეჩინა თავისი ნიჭი და უნარი. ზოგს გამოუძერწავს, ზოგს დაუხატავს, ზოგსაც ლექსი დაუწერია.

და აი მოზღვავდა სულ პაწაწინა გოგონებისა და ბიჭების მიერ დამზადებული საჩუქრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაძვისაზე ჩვენს სკოლაში

137
1936 2



მხატვ. დონისა.

ვრცელ დარბაზში მხიარულად
მოვიყარეთ ყველამ თავი
და ჩვენს თვალებს წარმოუდგა
საუცხოო სანახავი:
დიდი ნაძვი, აშოლტილი,
ჭერამდე რომ ჰქონდა თავი,
ძვირფას სათამაშოებით
იყო ირგვლივ მონართავი.
ბამბის თოვლით გადაპენტილს —
ფერი ედო მეტად ჭრელი, —
მძივებით და ბუზმენტებით
ბრჭყვიალებდა თვალისმჭრელი.
რას იტყვით, რომ მის ტოტებზე
ზედ არ იყო დაფენილი, —
ელნათურის ფერად შუქით
კაშკაშა და დაფერილი;
ცხოველები, ფრინველები,
ბავშვი, კაცი, თუ მანქანა —
ნაძვის კოხტა კენწეროებს
სტუმრებოდა ყველა განა!
აგერ ერთგან ციყვუნია
ზის და თვის ბედს არ იწუნებს, —
შოკოლადის გემრიელ თხილს
არხეინად აკნატუნებს.
კურდღელი კი, ბაზრობაზე
დიდ კალათით გამოსული,
ვითომ მზარეულია და
სანოვაგეს იძენს ფულით.
ჰაეროპლანს ვხედავ ზევით,
სად ვარსკვლავი წითლად ბრწყინავს,
სრიალით და გაქანებით
გაბედულად მიჰყავს მფრინავს.
მის ქვევით კი — პიონერი
პარაშუტით ჩადმომხტარა,
უფრო დაბლა — ავტოს მართავს
ოქტომბრელი — ის პატარა.



1818

მაგრამ ამბავს სხვასაც გეტყვით
უცნაურს და სასაცილოს:
ფეხბურთში ეჯიბრებოდა
ფისუნია დევგმირ სპილოს.

—

შემოვერტყით ნაძვს გარშემო
და ფერხული გავაჩაღეთ, —
ჩვენი ცეკვა და სიმღერა
ძრავდა სკოლის მაღალ თაღებს.
ლექსებიც ხომ წავიკითხეთ —
ბევრმა თვისი საკუთარი,
და რომ ყველას მე ვაჯობე,
ამის მოწმე ბევრი არი.
საჩუქრები? — უჰ, რამდენი
მოგვცეს — ვერც კი დავითვალეთ!
ამის შემდეგ, ბედნიერნი.
მხიარულად დავიშალეთ.
ახლაც გული ტკბილად მიცემს,
კმაყოფილი ვამბობ თანაც:
„ვერ აგიწერთ იმ სიხარულს,
რაც ნაძვისხემ მოგვიტანა“.

ს. ფაშალიშვილი

ვინ იყო ის?

1.

ერთ ოჯახში ექვსი ბავშვი ირეოდა. ერთი იყო პატარა, ცელქი, მაღალშუბლიანი ბიჭი.

— დედა, დაუკარი „ბეკეკა“, — ეხვეწებოდა დედას, თან ეშმაკურად იღიმებოდა.

უკრავს დედა, მღერის მაღალშუბლიანი ბიჭი:

— ერთ ბებიას ჰყოლია...

— მონაცრისფრო ბეკეკაა, — განაგრძობენ დანარჩენები. ოთხი წლის ბიჭუნაც იქვეა და ისიც მღერის.

მაღალშუბლიანი ბიჭი ეშმაკურად ახამხამებს თვალებს, მერე შეშინებული სახით უცქერის პატარა ძმას და მტირალა ხმით მღერის:

— დაესხენ ჩვენ ბეეკეკაას
მონაცრისფრო მგლებიიი...
დაურჩა ჩვენ ბეეებიიას
რქები და ჩლიქებიიი.. ჰიჰიჰიჰი! —

თითქმის ტირილით ამთავრებს მაღალშუბლიანი ბიჭი, და ღრიალებს შეშინებული ბიჭუნა, ცრემლები ლაპალუპით მოსდის.

— არ გრცხვენია, ბიჭო? — საყვედურით მიმართეს დებმა ცელქს, — რას აშინებ ბავშვს!

— უნდა მიეჩვიოს, თორემ მტირალა გამოვა, — ღიმილით ამბობს მაღალშუბლიანი ბიჭი.

ნეტა ვინ იყო ის?

2.

საღამოა. მაგიდაზე დგას ნავთის ლამპა. მაგიდას უზის ორი ბავშვი, რომელნიც გულმოდგინედ მეცადინობენ. კუთ-

ხეში გოგონა ამეცადინებს ექვსი წლის ბიჭიკოს.

სიწყნარეა, სიმშვიდე. ყველა გართულია მუშაობაში. მაგრამ... გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა მაღალშუბლიანი ბიჭი, რომელსაც ხელები უკან დაუწყვია.

ფეხაკრეფით მიდის კუთხისკენ... ეტყობა, ვერ ისვენებს, ცელქობა უნდა.

— გინდათ პირამიდის აშენება? — ჩურჩულით ეუბნება და-ძმას.

კუთხეში იწყება მუშაობა — პირამიდას აშენებენ.

გადის რამდენიმე წუთი, და გაისმის ბრახუნი: დაინგრა პირამიდა.

— დედიკო, მეცადინეობას არ გვაცლის! — ყვირის მაგიდასთან მჯდომი გოგონა...

ამ დროს შემოდის მამა, გადახედავს ცელქს და ეუბნება:

— წავიდეთ კაბინეტში.

კაბინეტში მამა მკაცრად ეკითხება:

— შენ რათ არ სწავლობ გაკვეთილებს?

— მე ყველაფერი ვიცი ხვალისათვის, მამა!

— შევამოწმებთ, — ამბობს მამა და იწყებს გაკვეთილების გამოკითხვას.

ბიჭი გარკვეულ და სწორ პასუხს იძლევა ყველაფერზე.

— როდის მოასწარი მომზადება? — ეკითხება გაკვირვებული მამა.

— მე არც მჭირდებოდა მომზადება, მამა: მასწავლებლებმა ყველაფერი ახსნეს კლასში...

— უთუოდ გასაოცარი ნიჭის პატრონია, — გაიფიქრა მამამ. მაღალშუბლიანი ბიჭი ლიმებოდა.

ნეტა ვინ იყო ის?

3.

ქალაქ ყაზანში სტუდენტები ღელავდენ — არ მოსწონდათ მეფის მთავრობა და მისი წესები.

უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა კრება. მათ პოლიცია შემოერტყა.

ერთი მაღალშუბლიანი სტუდენტი მუშტებმოღერებული მიიწევდა ინსპექტორზე და თან უყვიროდა:

ნახ. ი. ქოქაია

— გაიყვანეთ გოროდოვოები! გაიყვანეთ გოროდოვოები!

იმავე ღამეს დააპატიმრეს ის სტუდენტი საკუთარ ბინაზე.

პოლიციელმა ის ეტლში ჩასვა. გზაში ასე უთხრა სტუდენტს:

— რად ჯანყობთ... თქვენ წინ ხომ კედელია!

— კედელია, მაგრამ დამპალი კედელია — უბიძგებ და დაინგრევა, — თამამად უპასუხა მაღალშუბლიანმა სტუდენტმა.

ნეტა ვინ იყო ის?

4.

მეფის მთავრობა აპატიმრებდა რევოლუციონერებს და ციმბირში ასახლებდა. გადასახლებულები იქაც განაგრძობდენ რევოლუციურ მუშაობას. ერთი გადასახლებულთაგანი მაღალშუბლიანი იყო. გადასახლებულები ხანდახან კიდეც ნადირობდენ. იქ ბევრი იყო კურდღელი. ზამთარში ნავით წავიდოდენ ხოლმე ერთ

კუნძულზე და კურდღლებით დატვირთულნი ბრუნდებოდენ.

ძალიან უყვარდა ნადირობა მაღალშუბლიან რევოლუციონერს, მაგრამ ფიცხობდა ხოლმე: გამოვარდებოდა თუ არა კურდღელი, მისი თოფიც იმავ წუთს იგრიალებდა.

ერთხელ, მელებზე ნადირობის დროს, მელა სწორედ მაღალშუბლიანისაკენ გაიქცა, შეეფეთა მას და ტყეში მიიმალა.

— რათ არ ესროლე?—უსაყვედურეს ამხანაგებმა.

— იცი, მეტად ლამაზი იყო!—უპასუხა მან.

ნეტავ ვინ იყო იგი?

5.

ზამთარია. ბავშვები ციგით სრიალობენ. პატარა მოწაფე სიშუკიც იქ არის. ციგა აუტანია გორაკზე და იქიდან მოქრის. ხედავს—ქვევით ორი კაცია, ერთი მათგანი მაღალშუბლიანია.

— ეი, გზა მიტიეთ, თორემ გაგსრესთ!—ყვირის სიშუკი. მაღალშუბლიანი ჩამოეცალა გზიდან და ხმამაღლა უთხრა:

— ინებეთ, მიბრძანდით.

შეხედა იმ კაცს სიშუკმა და გული აუძგერდა: იცნო იგი.

იმ ორმა კაცმა განაგრძო გზა. ხედავენ—გდია ხელთათმანი, შორიახლო კი გოგონა თამაშობს.

— პატარა ქალო, ეს ხელთათმანი შენ დაკარგე?—ამბობს მაღალშუბლიანი ძია.

ნეტა ვინ იყო ის ძია?

6.

ეს მოხდა 1924 წლის 21 იანვარს. მთელი საბჭოთა კავშირი შეშფოთდა. მავთულები ელვის სისწრაფით მიაქროლებდეხ გულშემზარავ ამბავს...

შუბლშეჭმუხვნილი მშრომელები სევდიანი ხმით ლაპარაკობდენ:

— გადაიცვალა!

— გადაიცვალა!

— გადაიცვალა!

ასე გაისმოდა აქაც, იქაც, ქალაქშიც, სოფლადაც...

რამდენიმე დღის შემდეგ ზღვა ხალხი ირეოდა კუბოსთან, რომელშიც იწვა ტანმორჩილი მაღალშუბლიანი კაცი...

ეს იყო... დიდი ლენინი.

შ. თაბუკაშვილი

ეიდეას ლეკვი

ნახ. დონისა

თუ გინახავთ
დათვის ნეკი,
იმსიგრძეა
ჩემი ლეკვი.
ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში
დადის, დადის
კუდაბზეკით.

ბუზს შეხედა, გაინაბა,
დამიხია ჩითის კაბა,
გულმოსულმა გადაყლაპა
მზა მურაბა
ერთი კილო;
რა ლეკვია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ლეკვია,
ლეკვია თუ ცირკის სპილო!

კედლის მღებავს
შეუყეფავს,
უკბენს კატას, როცა ნებავს,
ახლა
დახრა
სკამის ფეხი,
არ მასვენებს ეს უკმეხი,
დაგაყარე თავზე მეხი!

და სულ ვდარდობ, ამ ავყიამ
იქნებ ჭამა დუთმა ნესვი,
იქნებ მამას დაუხია
გუშინ დაწერილი
ლექსი,
ან და კიდევ უკეთესი—
გადაყლაპა დიდი ნემსი!

ვერც სკოლაში დავისვენე,
ეს ჭინკა რომ გავიხსენე,
შინ მოველ და
მეცა ელდა,
თურმე ბზიკმა
დამიკბინა
ჩემი ფინა
ბაწაწინა,
ჩვენი ბაღის
იმ კუთხეში,
სადაც ცხოვრობს ლოკოკინა.

ვარ მთელი დღე მგლოვიარე,
ექიმები მოვიარე,
გამოვართვი აფთიაქარს
ეს მალამო თაფლის ფერი,
ვუცდი წამალს, ვაჭმევ შაქარს,
არ აკლია არაფერი...
ოღონდ სიცხე გამონელდეს
და ვუყიდი ცისფერ ლენტებს.
ერთი ყელზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კუდზე გამოვაბა,
ქვეშ დავუგო ჩემი კაბა,
გავახურო დიდი ტაფა,
მოვუდუღო ის მურაბა,
მას რომ უნდა... ისე ჰქონდეს
დასახრავად სკამის ფეხი,
აღარც ვეტყვი არასოდეს
„დაგაყარე თავზე მეხი“.

პაოლო იაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიადოსანი ქალი

ის დახატეს სუფთად, კოხტად,
მოლიმარი, წიგნით ხელში;
თან ლირსებაც აღუნიშნეს
გასაშვებად დიდ გაზეთში.
ღამით თითქმის არ ეძინა,
აღელვებდა გრძნობა თბილი;
გული უფრო აუძგერდა,
რომ დახედა გაზეთს დილით.
მაგრამ აი, ეჭვი უცებ
გაეფანტა როგორც ნისლი:
დიდ გაზეთში მართლაც იყო
სურათი და გვარი მისი.
ცირამ თავი აიმაღლა,
ჭერს და კედლებს გადახედა,
დაფიქრდა და მოხდენილად
დაუძახა ბოლოს დედას.
დაუძახა მამას, ბების,
ერთიც მაგრა ჩაახველა,—
და ცირას წინ ფანჯარასთან
შეიკრიბა მალე ყველა.

გადახედეს გაშლილ გაზეთს
და, რა სურათს მოჰკრეს თვალი,
დააკვირდენ: ცირა იყო,
ცუგრუმელა მათი ქალი.
გაიკვირვეს. თქვეს: „აქ, ნეტავ,
როგორ მოხვდი, ცირა, როგორ?!“
ეამათ, და დედამ შუბლი
დაუკოცნა თავის გოგოს.
შვილმა ტკბილად გაიღიმა,
დაემსგავსა ნამის ციმციმს,
და თქვა რიხით:—რა გაკვირვებთ?!
ფრიადებმა ასე იცის!
უფრო მეტიც უნდა ვიქნე,
ნუ იფიქრებთ, რომ ეს კმარა!—
დაკრა ტაში, და მოწყენა
ოჯახიდან გაიპარა.
ახლა სახლმაც უფრო ტკბილად
გაუცინა არემარეს,
მზეც გაბრწყინდა მაღლა ცაში
და არღვევდა ღრუბლის კარვებს.

ზეზარგი კაკაბაძე.

ლენინი და სიმართლე

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

იყო და არა იყო რა, იყო ორი ძმა. სოფელში ცხოვრობდენ, ყანას ხნავდენ, ცრემლით რწყავდენ, წელებზე ფეხებს იდგამდენ. პური სხვას მიქონდა, ძმებს კი საფასურად მიჯლუგუნებს სთავაზობდა.

ცხოვრობდენ და ცხოვრობდენ, განა ერთ წელიწადს ან ორს? სულ ბევრ ხანს. ირგვლივ სხვა გლეხებიც ცხოვრობდენ, ისინიც ასეთ ყოფაში იყვნენ. გავიდა ხანი, და ძმებმა თქვეს: „რაო, კაცო, ასე სანამ უნდა ვიწვალოთ? მოდი, წავიდეთ, ვიაროთ, ვიაროთ, სულ რუსეთი შემოვია-

როთ, ეგებ სადმე სიმართლე ვიპოვოთ“.

წავიდენ. იარეს, იარეს ერთი დღე, ორი, სამი. სულ ბევრ, ბევრ ხანს იარეს... მივიდენ ერთ დიდ სოფელში. შეხედეს — ბატონის სახლი დგას, თლილი ქვის ეკლესია წამოჭიმულა; თქვეს: ეს არის, სიმართლე სწორედ აქ იქნებაო.

მიადგენ ძმები ბატონს, უთხრეს:

— ვიცხოვრეთ, ვიცხოვრეთ და მეტი ძალა აღარა გვაქვს, გვასწავლე სიმართლე!

— კარგი, — უთხრა ბატონმა, — გაჩვენებთ სიმართლეს, მხოლოდ ჯერ იმუშავეთ ჩემთან, დაიმსახურეთ სიმართლე.

დათანხმდენ ძმები, იმუშავეს. მიწას ხნავდენ, ცრემლით რწყავდენ, წელებზე ფეხს იდგამდენ.

გავიდა ერთი წელიწადი. მივიდენ ძმები ბატონთან. ბატონი ეუბნება:

— დღე-ღამე ჩვენთვის უნდა იმუშაოთ, ბატონებისათვის. აი თქვენი სიმართლე, ტურტლიანებო!

ადგენ ძმები და წამოვიდენ. ვერ ნახეს ბატონთან სიმართლე.

წავიდენ, მიადგენ თლილ ქვის ეკლესიას. თქვეს: ეგებ ღმერთთან მაინც ვნახოთ სიმართლეო.

გადმოდგა ხუცესი. ესეც ბატონკაცურად მორთულ-მოკაზმული, მდიდარი, უთხრა ძმებს:

— რაო, გლეხებო სიმართლეს ეძებთ? კარგი, მამა-ზეციერს შევსთხოვ და მოგცემთ სიმართლეს. თქვენ კი მანამდე ჩემთვის იმუშავეთ.

დათანხმდენ ძმები. იმუშავეს, იმუშავეს, მიწას ხნავდენ, ცრემლით რწყავდენ, წელებზე ფეხს იდგამდენ. გავიდა ერთი წელიწადი. მივიდენ ძმები ხუცესთან, ის კი ეუბნება:

— იშრომეთ, ღვთის მსახურთ ასიამოვნეთ ხოლმე, — აი თქვენი სიმართლე, შვილებო!

აქ კი ვეღარ მოითმინა უფროსმა ძმამ, გადააფურთხა და თქვა:

— შენ თვითონ იმსახურე და შენს ღმერთს ელაქუცე, მუცელგაბერილო, ჩვენ კი მოსამსახურეებად არ გამოგადგებით!

ხუცესი აყვირდა, აჩხავლდა, მაგრამ ძმებმა უკვე ცხრა მთა გადაიარეს.

მივიდენ ახლა ვაჭართან. გადმოდგა ვაჭარი, ესეც ბატონკაცივით ჩაცმულ-დახურული, კიდევ უფრო მდიდარი.

— კარგი, უთხრა ძმებს, — გასწავლით სიმართლეს, მხოლოდ იმუშავეთ ჩემთვის.

დაიწყეს ძმებმა მუშაობა, იმუშავეს, იმუშავეს. წელებზე ფეხს იდგამდენ. დაუწყო ვაჭარმა სწავლება: აი ასე მოატყუეთ, საწყალი ხალხი, წონაში ასე მოატყუეთ. ასე ზომაშიო. ასეთ ყოფაში ერთი წელიწადი არ გასულა, რომ უმცროსმა ძმამ თქვა:

— არ ყოფილა, ძმაო, ჩვენთვის სიმართლე ქვეყნად. ჯანაბას! აღარც ვეძებ და არც არა, ისევ სოფლად დავბრუნდები.

უმცროსი ძმა დაბრუნდა სოფლად.

უფროსი ძმა კი ჯიუტი იყო, თქვა: სიმართლე რომ არ ვიშოვო, ისე როგორ დავბრუნდებიო! წავიდა. იარა, იარა, მივიდა ბურჟუასთან. ამ ბურჟუას დიდი ქარხანა ჰქონდა. შიგ ათასი მანქანა ედგა. თვითონ კი ისეთი მსუქანი იყო, ისეთი მორთულ-მოკაზმული, რომ ყველას სჯობდა: ბატონს, ხუცესს, ვაჭარს.

დაიწყო უფროსმა ძმამ ბურჟუასთან მუშაობა. ქარხანაში სხვა გლეხებიც იყვნენ, რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მოსულნი. იმუშავეს გლეხებმა ერთი წელიწადი, ორი, სულ ბევრ, ბევრ ხანს იმუშავეს. ძაფსა რთავდენ, წელებზე ფეხს იდგამდენ, სიმართლე კი არ იყო და არა.

ერთხელ მოვიდა უფროს ძმასთან ერთი კაცი და ჩუმად უთხრა:

— ჩრდილოეთ ქვეყანაში, პეტერბურგში, ერთი კაცი ცხოვრობს. ასეთი კაცი მთელ ქვეყანაზე არ არის. ამ კაცს ლენინი ჰქვია. სიმართლე მას აქვს.

დაიხსომა უფროსმა ძმამ იმ კაცის სახელი, მიატოვა ბურჟუა და წავიდა ლენინის საძებრად. იარა-იარა, იარა-იარა, მივიდა პეტერბურგში. გაიარა ქუჩაში, ერთი მუშა შეხვდა; ჰკითხა უფროსმა ძმამ ჩუმად:

— სად ვეძებო ლენინი?

იმ კაცმა კიდევ უფრო ჩუმად უპასუხა:

— ლენინი ვინ არ იცის, რომელმა მუშამ! წამო, წაგიყვანო!

წაიყვანა და მიიყვანა ლენინთან. შევიდა უფროსი ძმა, ხედავს—სულ უბრალო ოთახია, ბევრი წიგნი აწყვია. გამოვიდა ერთი კაცი, ღარიბულად აცვია, მოქცევაც სულ უბრალო აქვს. უთხრა უფროს ძმასა:

— გამარჯობა, ამხანაგო, რას იტყვი? დაჯდა უფროსი ძმა და მოუყვა, როგორ ეძიეს მან და უმცროსმა ძმამ სიმართლე, როგორ დაბრუნდა უმცროსი სოფელში უსიმართლოდ, თვითონ ქარხანაში წავიდა. დიდხანს ელაპარაკა ლენინი უფროს ძმას, გამოჰკიდხა ყველაფერი და მერე უთხრა:

— კარგად მოქცეულხარ: ქარხანაში უფრო ადვილად იპოვი სიმართლეს. იქ თქვენ სიმართლე ხელში გიჭირავთ,—და უამბო ლენინმა უფროს ძმას, როგორ უნდა მუშური სიმართლისათვის ბრძოლა: ბატონებს არ ემსახუროთ, ხუცებს არ გაუგონოთ, ვაჭრებისა და ბურჟუებისთვის არ იშრომოთო, მეფე კი, თავის ავანჩავანით სულ გარეთ გაუძახეთო. მხოლოდ მუშებმა და გლეხებმა ხელი ხელს უნდა ჩაჰკიდოთ და ერთად იბრძოლოთო.

დაბრუნდა უფროსი ძმა ქარხანაში. დაიარა მუშები და ჩუმჩუმად უამბო ლენინის სიტყვები. მუშებმა უამბეს ერთმანეთს ეს სიტყვები. ერთი ლაპარაკობდა—ათი უსმენდა, ათი ლაპარაკობდა—ასი უსმენდა. ასე გაიტანეს მხურვალე სიტყვებმა ხალხში ლენინის სიმართლე. იარა ერთი წელიწადი ლენინის სიმართლემ ხალხში, იარა ორი წელიწადი, ბევრ, ბევრ ხანს იარა, მოამზადა მუშები და გლეხები საბრძოლველად, ოქტომბერში კი ზარბაზნების ხმით ისეთი დაიჭექა, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგო, და დაიძრენ მუშები და გლეხები, ეკვეთნენ ბატონებს.

წინ ბოლშევიკები მიუძღოდენ, ბოლშევიკებს კიდევ ლენინი და სტალინი უდგენ სათავეში, და გაიმარჯვა ოქტომბერში ლენინის სიმართლემ.

მას შემდეგ არც მუშები და არც გლეხები ბურჟუებისთვის არ მუშაობენ, ბატონების მიწას არ ხნავენ, ცრემლით არ რწყავენ და თავის ქვეყანას თვითონ მართავენ.

თარგმნილი რუსულიდან **მ. მიქელაძის** მიერ

ძველი ამბავი

(მოგონება)

ნაწ. ი. ქოქიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

ჩემი ბავშვობის დროს გამომცხვარ პურს იშვიათად ყიდულობდა ვინმე ქალაქში: ყველას ფქვილი ჰქონდა მომზადებული და ფურნეში მხოლოდ ცომი მიჰქონდათ გამოსაცხობად.

შუა ბაზარში, თათრის მოედანთან, იმერელი მეპურეები აცხობდენ თონის პურს, რომელსაც „ბაზრის პურს“ ეძახოდენ, და იმ პურს მარტო ვაჭრები, ხელოსნები, მუშები ყიდულობდენ. ყველაზე სანაქებო და განთქმული პური იყო „ჯვარის მამის პური“. მართლა კარგი რამ იყო; ცოტა ძვირადაც იყიდებოდა, და ათასში ერთმა თუ იცოდა სად იყო „ჯვარის მამის პური“ და ან როგორი იყო ის, მაგრამ ვინც იცოდა, ფულს არ ზოგავდა იმისთანა ნამცხვარში, რომელიც ძლიერ ირჩეოდა საყოველთაო საჭმელ პურიდან. იშვიათი თეთრი იყო, ფაფუკი, პატარპატარა. ხელისტოლა ლავაშები, რომელნიც ისეთი მსუბუქი და სათუთი იყო, რომ ცალ მუჭაში ოროორი დაიბღუჯებოდა.

ბებიაჩემსაც ძალიან უყვარდა „ჯვარის მამის პური“. უიმისოდ ჩაის არასდროს არ დალევდა. ჩვენ სიონის ქუჩაზე ვიდექით და ჯვარის მამის ქუჩა, სადაც ეს პური ცხვებოდა, ჩვენთან ახლოს იყო. ერთი ამ პურის მცხობელი, რომელსაც სიმონა ერქვა და ყოველ დილით ლავაშებს და შოთებს ხონჩით შუა ბაზარში მუშტართან ეზიდებოდა, გზადაგზა ჩვენც მოგვაწოდებდა ხოლმე.

რადგან ამ დროს ჩვენ ყოველთვის ჩაის ვსვამდით, ბებია იმასაც გაუმასპინძლდებოდა ხოლმე და ერთ დაშაქრულ ჩაისჭიქას მიართმევდა, თან ებაასებოდა, გამოჰკითხავდა, თუ რა აქვს მოგება, ან ამსიშორეზე რად წამოსულა თავისი სახლიდან და სხვა.

ერთხელ, როცა სიმონამ ჩაისჭიქა გამოცალა და მადლობით გადასცა ბებიას და გრძელი ხონჩის მხარზე შედგმას ეპირებოდა, უცებ შეჩერდა და ბებიას მოწიწებით უთხრა:

— ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან და, არ ვიცი, როგორ გაგიბედოთ.

— შენ ჩემთან სათხოვნელი გაქვს რამე?—გაოცებით შეეკითხა ბებია.—ჩემზე მდიდარი კაცი ხარ, ამბობენ,—ოქროებს პარკებით გზავნის რაჭაშიო.

— კი ამბობენ... კაცის ენა სოველია და გძელი, სხვის ჯიბეში ჩახედვა უყვართ, გაზვიადება... მაგრამ ჩემი სათხოვარი არაფრის გამოთხოვა არ გახლავთ... მე მხოლოდ მინდა იმით შეგაწუხოთ, რომ თქვენ ოჯახში მიიღოთ ჩემი პატარა ძმისწული და ამ თქვენ შვილიშვილებთან ერთად რიგიან კაცად გამოზარდოთ... გემსახურებათ, მორჩილობას გაგიწევთ და თან წიგნის ასოებს ისწავლის, ჭკუის თვალი აეხილება თქვენ ბალღებთან, ცხოვრების ყურებაში...

— რატომაც არა, ძლიერ კარგი იქნება! სწორე გითხრა, მე თვითონ მინდოდა მეთქვა შენთვის: ერთი პატარა ბიჭი გეშოვნა ჩემთვის ხელზე მოსამსახურედ. მე ბევრი ბიჭი აღმიზრდია, პატიოსანი კაცი გამომიყვანია, რიგიანი სამსახურიც მისწავლებია და წიგნიც, რასაკვირველია, ანგარიშიც...

— კარგათ ვიცი, ქალბატონო, გამიგონია, კიდეც ამიტომ გაგიბედეთ და გემუდარებით ჩვენი რეგვენიც კაცათ გამოგვიყვანოთ თქვენ სადღეგრძელოთ.

— რამდენი წლისა იქნება თქვენი ყმაწვილი?

— ასთე თორმეტ-ცამეტის უნდა გახლდეს.

— თორმეტ-ცამეტის?! კარგა მოზრდილი ყოფილა, მე კაცო. მაგ ხნის ბიჭს ხასიათი უკვე დაყენებული აქვს, გაკერპებული ჩვეულებით, — ყოყმანით თქვა ბებიამ და დაუმატა: — ძნელად მიიღებს დარიგებას, სამსახურის წესს.

— ნუ მეტყვით უარს! — დაიღრიჯა სიმონა. — გარწმუნებთ, კაი ბიჭია, ერთობ გონიერი ბალანაა.

— კარგი, კარგი! ვნახოთ! მოიყვანე. მე ერთი შეხედვით შევატყობ, თუ გამოდგება ადამიანად.

სიმონამ სწრაფად შეიდგა ხონჩა მხარზე და კმაყოფილის ღიმილით გავიდა კარზე.

2

გავიდა ორი-სამი კვირა.

სიმონას დაპირება კიდევაც დაგვავიწყდა, რომ სიმონა კვლავ ხონჩით ამოვიდა ჩვენ ბალკონზე. უკან მოსდევდა პატარა ბიჭი, კარგად გამოწყობილი ჩოხა-ახალუხში, პატარა ხანჯლით წელზე, მესტებით, თავზე ბანჯგვლიანი ქუდით, მაგრამ ერთობ შემკრთალი და უკან გასაქცევად მომზადებული.

— აი, გაახელით ჩვენი დაპირებული ბოვში, — კარებიდანვე გვითხრა და ხელი წაავლო ბიჭს, ძალათი შემოათრია ოთახში. — რა დაგემართა, შვილო ნიკოია, აბა რისა გეშინია? მოდი, სულელო, იახელი ქალბატონს. ქუდი მოიხადე, შე კაცო, სალამი მიართვი ბატონებს!

ნიკოიამ ოდნავ აიღო თავი და ქვეშ-ქვეშ გამოგვხედა ყველას, ნელა მოიხადა ქუდი და იღლიაში ამოიდო. სალამი კი, როგორც ეტყობა, ყელში გაეჩხირა მორცხვობით და კვლავ ძირს დაიღო თავი.

რამდენიმე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ბებიაჩემი მართლა დაკვირვებით უყურებდა მომავალ მოსამსახურე-მოწაფეს და ბიძა-ძმისწულს ამ დაკვირვებით უფრო საჩოთირო მდგომარეობაში აყენებდა.

— ავადმყოფი ხომ არ არის?

— აბა, რას ბრძანებთ, — დაარღვია სიჩუმე სიმონიკამ, — თუ ცოტაოდენ ფიზიკურობას ატყობთ ბიჭუნას, მაგრამ ეს შეგეშინდებათ, თქვენი ჭირიმე. ხომ მოგეხსენებათ, ჩვენ მხარეს ციებ-ცხელება იცის, მაგრამ ახლა სრულიად კარგად არის და, ამბობენ, მტკვრის წყალს რომ დალევს და ციხის აბანოში გეევლება, ციება საუკუნეთ მასზე ხელს აიღებსო.

ნიკოია მართლა ძლიერ უფერული და სუსტი ბავშვი იყო, ბეჭებში წახრილი, გულისფიცარშევარდნილი, და ბებია დიდ ყოყმანში იყო წასული, მაგრამ სიმონას ხათრი ვეღარ გაუტეხა და ცალყბად უპასუხა:

— რა გაეწყობა, დარჩეს, ვნახოთ, როგორა მოიხედავს, როგორ ფხას გამოიჩენს. „ჯვარის მამის“ პურების მოტანას ხომ მაინც შეძლებს და შენ აღარ შეგაწუხებს.

— დიდი მადლობელი ვიქნები, თუ გამოცდით ხელს შეგვიწყობთ. ჩვენ თქვენს მეტს ვერავის ვანდობთ ბოვშს, გულს ნუ გოუტეხთ პატარას, ნახეთ, როგორ გასიამოვნებთ. მეც გავამხნევებ ხოლმე, თუ გაგაჯავრებთ რასმე, დავტუქსავ.

— მაგაზე ნუ შეწუხდები, — გააწყვეტინა დაუსრულებელი ჯიჯღინი ბებიამ. — დამტუქსავად მეც ვეყოფი. სხვა-დასხვის ჩარევა უმცროსის წვრთნაში ბავშვს სულ გადარევს. შენ ახლა ისა თქვი, თუ რამდენს თხოულობ ჯამაგირად ამ შენ ლაწირაკში?

— რას მიბრძანეფ, ბატონო! — შეჰყვირა სიმონამ, — ჯამაგირის ხსენება რა საკადრისია! ჩვენ ისედაც დიდად დავალებულნი ვართ, რომ კისრულობთ უგუნური ბოვშვის გაწვრთნას, პირიქით, ჩვენ უნდა გემსახუროთ, რითაც კი შეგვიძლია, და ნახავთ, რომ უმადურნი არ დაგრჩებით, მე და ჩემმა ღმერთმა!

— კარგი, კარგი! — ეგრე იყოს, მოვრიგდებით! აბა ახლა ეს შენი ბალღი ამალამ აბანოში წაიყვანე „ციხის აბანოს წყალში გაავლე“, როგორც გეუბნებიან, და აი ეს ჩემი შვილიშვილის სუფთად გარეცხილი საცვლები ჩააცვი, ახალი ბამბის წინდებიც უყიდე. მე მანამ ლოგინს, საწოლ კუთხეს მოვუმზადებ...

(გაგრძელება იქნება)

ეკატერინე გაგაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინის პორტრეტი

მაგიდასთან მისკუპულა
ოქტომბრელი ჩვენი ნატა
და ლენინის ფერად სურათს
დაკვირვებით უმზერს, ხატავს.

ამ დროს მამა კარს შეაღებს
და ღიმილით ჰკითხავს წყნარად:
„რას აკეთებ აქ, სილაღევ,
რად ხარ აგრე გულდამჯდარად?“

„მამიკოჯან, დამეხსენი,
ხელს ნუ მიშლი, გეთაყვანე...
აი, ვხატავ ძია ლენინს...
დახე, როგორ დავამგვანე!

ეს სახეა და ეს შუბლი,
ეს — თვალები მოელვარე;
ჩრდილიც არ ჩანს არსად ღრუბლის,
ნათელია, როგორც მთვარე!“

„ყოჩაღ, შვილო, ბარაქალა,
გამეზარდე დიდი ქალი...
დღეს ეგ კმარა, ხვალ კი, ხვალა,
დაგვიხატავ, მჯერა, სტალინს!“



მკვდარი ლაპარაკობს

ნახ. გ. კახიძისა

აკაკი წერეთელი

გოგი მაგიდას უჯდა და წერდა. დაიღალა... იქნებ რადიოში მუსიკაა? მოდი, მოვისმენ და ცოტას შევისვენებო, — იფიქრა მან და ყურსასმენი რადიომოწყობილობა თავზე გაიკეთა. ერთხანს უსმინა, მერე ისევ წერას შეუდგა.

წერს გოგი, რადიომოწყობილობა კი ისევ თავზე აქვს... ხან მუსიკაა, ხან ლექსს ამბობენ...

მას უეცრად მოესმა ტკბილი, ღუღუნა ხმით ნათქვამი:

„პატარა რომ ვიყავი, პატარა ბიჭუკელა“...

შეწყვიტა წერა, მოიხსნა რადიო და გუჯიკოს გაუკეთა...

— აკაკი ლაპარაკობს, ლექსს ამბობს, აკაკი წერეთელი! — უთხრა მან ბავშვებს და ამიკოსაც გადააცვა ყურსასმენები.

ბავშვები გაინაბნენ, თვალის დახამხამებასაც ერიდებოდენ, რადიოში კი ესმოდათ ტკბილი ხმა ოცდაერთი წლის წინათ გარდაცვლილი აკაკი წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადუმდა რადიო...

— მამა, მართლა აკაკი იყო? ის აკაკი, ამიკოს სახელმძღვანელოში რომ არის დახატული?

— ჰო, ის აკაკი.

— ამიკომ მითხრა მკვდარიაო! რატომ გიყვარს, ბიჭო, ტყუილი, ა?

— არაფერიც! ტყუილი კი არა, მართლა მკვდარია. წიგნში ასე წერია და მე რა ვიცი...

— ბიჭო, მკვდარი რანაირად ილაპარაკებდა? — გაოცებული კითხულობდა პატარა გუჯა.

— გუჯიკო, მე აგიხსნი ყველაფერს, აბა ყური დამიგდე, — თქვა მამამ.

— აკაკი მწერალი იყო. ის წერდა ლექსებს, მოთხრობებს.

— იგა-ვარაკებსაც თარგმნიდა! — ჩაერია ბიჭიკო. „მგელი და კრავი“ იმან დაწერა..

— ნუ მაშლევინებ, ნელი, — დინჯად უთხრა მამამ. — აკაკი დაიბადა 1840 წელს, სოფელ სხვიტორში, იმერეთში. ლექსების წერა პატარაობიდანვე დაიწყო.

— გუჯიკო, შენ რაღას უყურებ, შენც უნდა დაწერო ლექსები, — გადაიკისკისა ნელიმ.

— დავწერ, ნახავ თუ არ დავწერ!

მამას გაეღიმა და თქვა:

— დაწერს, რატომ არ დაწერს. ხატვა იცის, ახლა ლექსების წერას ისწავლის.

— ოჰო, ხატვა იცის კი არა! — იცინოდა ნელი.

— არ გახსოვს, შარშან რომ ხელი დაედო ჩემ ოვეულზე და ფანქრით თავისი თითები ჩაეხატა? — ღიმილით უპასუხა გოგიმ.

გუჯიკო განაბული იყო და მერე წამოიძახა:

— არა, ეს ვერ გავიგე ახლა მე, მკვდარი როგორ ლაპარაკობდა?

— მამა, მართლა როგორ იყო ეს? — დაინტერესდა ამიკოც.

— რადიოში აქვთ პატეფონის ფირფიტა, რომელზედაც აკაკის მიერ წარმოთქმული ლექსია ჩაწერილი. დადებენ ამ ფირფიტას პატეფონზე, დაუკრავენ, და ყველა ისმენს რადიოთი...

აკაკი რომ პატარა იყო, ერთხელ ღორი დაედევნა — ჭადი უნდოდა წაერთმია. მირბის პატარა აკაკი და მისდევს ღორი...

— მერე, მერე?

— მოდი, თვითონ აკაკი ვალაპარაკოთ, — თქვა გოგიმ, — კარადიდან გამოიღო აკაკის თხზულება „ჩემი თავგადასავალი“ და წაიკითხა: „მე რომ დამინახა მჭადით ხელში, ამედევნა ღორი ჭყივილ-ჭყივილით. გავექეცი, გამომიდგა. წამოვკარი ქვას ფეხი და გავგორდი მიწაზე; იმანაც იხელთა დრო, მეძგერა და ზედ ამაღლიტა მჭადი“.

ბავშვები იცინოდენ, მამამ კი განაგრძო:

— ერთხელ აკაკიმ ცოცხალი კურდღელი დაიჭირა ხელით.

— კარგი, მამა, ერთი, ნუ ხუმრობ!

— მართლა, მართლა! აი აგერ წაგიკითხავთ, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი:

„ერთ საღამოს „კურდღლობიას“ ვთამაშობდით... დაიმალა „კურდღელი“,

უშვით „მეძებრები“... მეძებრებმა ვითომ სუნი იცეს. ატეხეს ყეფა; ათი თუ ხუთმეტი ბავშვი სულ სხვადასხვა ხმაზე ყეფდა. ამ დროს თურმე ჩვენს ბაღში ნამდვილი კურდღელი ყოფილიყო შეპარული და გამოვარდა. ჩვენ დაგვავიწყდა თამაშობა და დავედევნეთ. კურდღელს თვალი წაუხდა და ისე აერია გზა-კვალი, რომ ხიმეში გაეკვეტა; მივასწარი და ვტაცე ხელი უკანა ფეხში“.

აი ასე დაიჭირა პატარა აკაკიმ კურდღელი.

— მამა, შენ გინახავს აკაკი?

— როგორ არა, ვიცნობდი კიდეც. როდის მოკვდა აკაკი, აბა თუ იცი, ბიჭო?

— როდის და 1915 წელს, ჩვენ ვისწავლეთ.

— მისი ძეგლი სად არის?

— ოპერის ბაღში, ხომ?—თქვა გუჯიკომ.—მამა, აკაკის საფლავიც გვაჩვენე, ხვალ ხომ დასვენების დღეა...

— კარგი, ხვალ გაჩვენებთ,—თქვა მამამ და წერა განაგრძო...

შ. ფარცხნალელი

გლეხი და კიტრები

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



ლ. ტოლსტოი
ცნობილი რუსი მწერალი. დაიბადა 1828 წელს, გარდაიცვალა 1910 წელს.

გლეხი ბოსტანში შეიპარა კიტრების მოსაპარავად. მიცოცდა კიტრებთან და გაიფიქრა: „ერთ ტომარა კიტრს წავიღებ, გავყიდი და იმ ფულით დედალს ვიყიდი. დადებს დედალი კვერცხს, მოკრუხდება, ბევრ წიწილს გამოჩეკს. დავზრდი წიწილებს, გავყიდი, ნეზვ გოჭს ვიყიდი; დაყრის ნეზვი გოჭებს. გავყიდი გოჭებს, ვიყიდი ჭაკ ცხენს. ჭაკი კვიცებს მოიგებს. დავზრდი კვიცებს, გავყიდი; ვიყიდი სახლს და ბოსტანსაც გავიკეთებ. გავიკეთებ ბოსტანს, დავთესავ კიტრს, არავის არ მოვაპარვინებ, ძალიან ვუყარაულებ. დავიქირავებ დარაჯებს, კიტრებში ჩავაყენებ, მე კი მოვუვლი მათ გვერდიდან და შევუყვირებ: „ეი, თქვენ, კარგად უყარაულეთ!“ — და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა. გაიგონეს დარაჯებმა, გამოცვივდენ, მიბეგვეს გლეხი.

ბ უ ლ კ ა

მე მყავდა ბულდოგი. იმას ბულკა ერქვა. ის მთლად შავი იყო, მხოლოდ წინა თათების ბოლოები ჰქონდა თეთრი. ყველა ბულდოგს ქვედა ყბა ზედა ყბაზე გრძელი აქვს, ზედა კბილები კი ქვედა კბილებზეა გადამჯდარი. მაგრამ ბულკას ქვედა ყბა იმდენად იყო წაგრძელებული,

რომ თითი ჩაეტეოდა ქვედა და ზედა კბილებს შუა. ბულკას ჰქონდა ფართო სახე, დიდი, შავი და მოელვარე თვალები; კბილები და თეთრი ლოკნები მუდამ დაკრეჭილი ჰქონდა. ბულკა მშვიდი იყო, არ იკბინებოდა, მაგრამ ძალიან ლონიერი იყო. ხანდახან ჩააფრინდებოდა რაიმეს, მოუჭერდა კბილებს და ჩვარივით დაეკიდებოდა; მაშინ იმას ტკიპასავით ვერ მოაცილებდი.

ერთხელ დათვს მიუსიეს. ის ჩააფრინდა დათვს და წურბელასავით დაეკიდა ყურზე. დათვი ურტყამდა თათებს, იხუტებდა, აქეთ-იქით აქანებდა, მაგრამ ვერ მოიცილა და თავქვე დაეცა, რომ მოესრისა ბულკა, მაგრამ ბულკა მანამდის არ მოსცილდა, სანამ ცივი წყალი არ გადაასხეს.

ის ლეკვი იყო, როდესაც ავიყვანე და გამოვზარდე. როდესაც კავკასიაში მივდიოდი, არ მინდოდა თან წამეყვანა და გავეპარე, თანაც განკარგულება გავეცი ბულკა დაემწყვდიათ. პირველ სადგურზე ის იყო ვაპირებდი მეორე ბოსკაში გადაჯდომას, რომ უცებ დავინახე: გზაზე მოქროდა შავი და ბრჭყვიალა რაღაცა,--ეს იყო ბულკა თავისი თითბრის საყელურით, ის სადგურისაკენ მოქროდა, რაც ძალი და ლონე ჰქონდა. ის მეცა, ხელი დამილოკა და ჩრდილში გაიშოტა ჯაგვის ქვეშ. ენა ერთ ხელის დადებაზე ჰქონდა გადმოგდებული. ის ხან დამალავდა ენას და ლორწკს ტლაკავდა, ხან ისევ ხელის დადებაზე გადმოაგდებდა. ის ჩქარობდა, ვერ ასწრებდა სუნთქვას, ფერდები სულ უხტოდა. ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდებოდა ხოლმე და კუდს მიწაზე არტყამდა.

მე შემდგომ გავიგე, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ ჩარჩო გამოეტეხა, ფანჯრიდან გადმომხტარიყო, ჩემ კვალს დასდგომოდა გზაზე და იმ სიცხე-პაპანაქებაში 20 ვერსი გამოერბინა.

ლ. ტოლსტოი.

თარგმანი შ. თაბუკაშვილისა

გემის ნახვა

გურიკო მამასთან წავიდა
და ნახა უცხო რამ ყულევთან:
ვეებერთელა ზღვა იდგა, შავი, და
ათას ყურს აბარტყუნებდა.

ამ ყურებს უცქირა, არჩია,
ვერ მიხვდა სად გაქრა რომელი;
უეცრად შეხედა: — ზღვაშია
კალოში ხუთასი ნომერი.

აყვირდა კალოში.
ყვირისო!!
სად თქმულა კალოშის ყვირილი?!
აქ რაღაც მოხდება! გურიკომ
მოუსვა შინ ტირილ-ტირილით!

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. დონის

ქათამი

სოფელში ადრე მოვიდა თოვლი.

ორ დღეს ცვიოდა თოვლის ფანტელები. მიწა დაიფარა. ხეების გრძელი შტოები დაზნიქა, თითქმის მიწამდის დაეშვა. მერე ისევ მზიანი დღეები დაიწყო.

გალხვა თოვლი...

ქათმებს ეშველა: სანამ თოვლი იდო, სულ წინაკარში იყვნენ შეყუჟულნი. ახლა კი იატაკქვეშიდან ბაჯბაჯით გამოვიდენ. ამდენ ქათამში ერთია ყველაზე მაღალი, გრძელდეზებიანი და წითელბიბილოიანი. ეს გახლავთ:

ჩვენი წითელი მამალი,
ორივე ფეხით მაღალი...

ის წინ მიუძღვის ქათმებს, თავი მოსწონს. მთელი ამალა მისდევს.

მაინც რა საკვირველია ეს ჩვენი წითელი მამლაყინწა!

თავი მაღლა აქვს აწეული, ბოლო გრძელი და აპრეხილია. უცნაური სიდინჯით მიბაჯბაჯებს.

ქათმებმა ეზოში გასვლისთანავე მიწას დაუწყეს ჩიჩქნა. მამალი კი თითქოს არ კადრულობს მიწის ჩიჩქნას, გაბღინძული დგას და აქეთ-იქით ატრიალებს მრგვალ თვალებს.

დღეს დასვენების დღეა. ლეო და ნოდარი შინ არიან. ისინიც მზეზე გამოსულან. ლეო ხმამაღლა კითხულობს, ნოდარი კი მათემატიკურ მაგალითებს იყვანს. მშობლებიც იქვე სხედან. უცქერიან შვილებს და უხარიათ მათი ბეჯითობა. კარგახანი რომ გავიდა და მაცადინობით დაიღალნენ, მამამ წამოილაპარაკა:

— ერთ გამოცანას ვიტყვი, რომელიც ადრე გამოიცნობთ, მარჯვე ბიჭი იქნებით.

— კარგი, კაცო, ბავშვებს სწავლაში ნუ უშლი ხელს,—მიმართა დედამ.

— ეჰ, დაგვაცალე, განა გამოცანის მიხვედრა სწავლა არ არის?

— გვითხარი, მამა, გვითხარი —ერთად წამოიძახეს ლეომ და ნოდარმა.

— აბა, რა იქნება: თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი, — თქვა მამამ.

ბავშვებმა გადიხარხარეს. ქათმებისკენ ხელი გაიშვირეს:

— ჰე, მამალი... მამალი! – თითქმის ერთად წამოიძახეს.

ამ მამლაყინწას რა ღაჟღაჟა ბიბილო აქვს! პირდაპირ ხერხსა ჰგავს, ბოლო ხომ ნამდვილად ნამგალივით მოხრილია!

ამ დროს მეზობლის მამალმა ფრთები გააფართქუნა და ღობეზე შემოხტა. ფეხი რომ კარგად მოიმაგრა, მერე კისერი წაიგრძელა და ერთი ლაზათიანად დაიყივლა. ლეოს მამალმა თავი უცნაურად შეატრიალა, თითქოს ცალი თვალით მაღლა აიხედაო და ფეხაკრეფით წავიდა მეზობლის მამლისკენ. ღობიდან მამალი

ისევ უკან გადახტა. მაინც როგორი დაშინებული ყოფილა. გაჯავრდა, მერე ეზოში დაიყივლა და აქედან კი გამარჯვებულმა მამალმა გააბა ყივილი.

ნოდარმა და ლეომ დიდხანს უცქირეს თავმომწონე მამალს და მერე ნოდარმა წამოიძახა:

— ლეო, აბა, თუ მეტყვი: მამალი რომ ყივის, თვალს რატომ ხუჭავს?

ამ კითხვამ მამაც დააინტერესა. მიიხედა მათკენ, ყური დაუგდო, ლეო როგორ უპასუხებსო.

— ეე, რას ლაპარაკობ, ჩემო ძმაო, რა საჭიროა თვალის გახელა, როცა ნოტები სულ ზეპირად იცის!

მშობლებმა ხარხარი ატეხეს...

იცინიან ყველანი...

ლავრენტი ჯიჯინაძე.

მეფის წყალობა

საყვირის ხმა მკვეთრად გაისმა მუშათა უბნებში. მას არავინ გამოეხმაურა.

— დღეს პირველია ჩემ სიცოცხლეში, რომ საყვირის ხმაზე არ ვდგები, — მხიარულად მიმართა ივანემ ნაადრევად ამდგარ მეუღლეს, რომელიც ოთახში დაფუსფუსებდა.

— მაშ დღეს სამუშაოდ არ წახვალ?

— არა, — ამაყად უპასუხა ქმარმა; — დღეს მეფესთან მივდივართ, ჩვენ მამასთან. მას უნდა ვაცნობოთ ჩვენი გაჭირვება. უვეჭველია, ის გვისხნის მტარვალთა კლანჭებიდან. შენც ხომ წამოხვალ?

— როგორ არა, მეც მინდა ვნახო მეფე, მეც მინდა მივიღო მისი წყალობა.

— მაშ ყველანი წავიდეთ, ყველამ ერთად გავაგებინოთ ჩვენი გაჭირვება.

— მამილო, მეც წამოვალ, — გაისმა ოთახში ბავშვის წკრიალა ხმა.

— არა... არა... ბავშვებს რა უნდათ! — წამოიძახა დედამ, თითქოს იგრძნო საშიშროებაო.

— რატომ? დე, ეგენიც წამოვიდენ. ნახონ მეფე. ჩვენ ყველანი წავალთ.

— როგორია, მამა, მეფე? — ლოგინიდან თავი წამოყო პატარა კატუშამაც.

— აი წამოდი და შენ თვითონ ნახავ.

მამამ შვილი ხელში აიყვანა და ძლიერი მკლავებით ჰაერში შეისროლა.

— მეც წამოვალ, მეც მივიღებ მეფის წყალობას...

ასე ემზადებოდენ მუშები მეფესთან მისასვლელად.

***

9 იანვარი.

უჩვეულო მხიარულებით იღვიძებს ქალაქი.

იანვრის მზიანი, მაგრამ სუსხიანი დღე ვერ აშინებს მუშებს. ისინი საზეიმოდ არიან მორთულნი. დარაზმულნი მიეშურებიან მეფისკენ.

ქალები და ბავშვებიც მისდევენ მათ უკანა რიგებს. წინ მიუძღვით გაპონი, მოციქული მეფესა და მუშებს შორის. მიდიან მეფის სურათითა და ხატებით. ყინვით შეორთქლილ ჰაერის ტალღებში გაისმის მათი წყნარი სიმღერა: „ღმერთო, ფარავდე მეფესა.“

— კატუშა, აი აქ, ამ მილზე ავცოცდეთ. იმ აივნიდან ჩვენ ყველაფერს დავინახავთ, — უთითებდა კატუშას აივნისკენ ძმა.

— არა, არა... არ მინდა, წამო დედასთან, — შიშნარევი ხმით უპასუხა პატარა დამ.

— სულელო, რისი გეშინია, აქ საშიში არაფერია. ხომ გაიგონე, რა თქვა მამამ დილით? მეფე კეთილიაო, ის დაგვეხმარებაო.

ბავშვები აცოცდენ წყლის მილზე და ერთმანეთს უზიარებდენ თავიანთ აზრს.

ნახატი
ი. ქოქიაშვი-
ლისა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აი, შეხე, შეხე, კატუშა, ჯარი გამოვიდა.

— ისინი ფულსა და პურს დაურიგებენ ჩვენებს?

— ჰო... ჰო!

— ჩვენც წავიდეთ, ჩვენც მოგვცემენ!

— არა, არა, ვერ გავალთ. ბევრი ხალხია, დედაც საკმაოს წამოიღებს,— დაამშვიდა ძმამ.

— კოლია, ხედავ, მათ თოფები უჭირავთ პურისა და ფულის მაგიერ! — კატუშას ხმაში შიში ჩანდა. იგი ძმას მიეკრა.

— მაშ ჯარისკაცები უთოფოდ ხომ არ გამოვლენ!

— კოლია, უცქირე, უცქირე! ისინი უმიზნებენ!

კოლიამაც შიშით მოავლო თვალ გარემოს!

ამ დროს ჰაერში თოფების გრიალი გაისმა. ცხელმა ტყვიებმა გაათბო ცივი ჰაერი.

— კოლია, ისინი ისვრიან! ხედავ?! დაეცენ ჩვენები! — და კატუშამ თავისი ფუნთუშა ხელი გაიშვირა მუშების პირველი მწკრივისაკენ, რომელთა თბილი სისხლი ალხობდა გაყინულ თოვლს! კოლია დაიბნა, აივნის მოაჯირს მიეკრა, ხმა აუკანკალდა.

— დედა, მამა, ისინი ხომ იქ არიან! მამამ თქვა მეფის წყალობას მივიღებთო...

კოლიასთვის წარმოუდგენელი იყო მეფის ასეთი წყალობა.

კვლავ გაისმა გრიალი. კატუშა მოცელილივით გადმოვარდა აივნიდან. კოლია დაიბნა, მთელი ტანით აცახცახდა.

— კატუშა! კატუშა! — შეშფოთებული დასძახოდა ზემოდან თავის დას. სწრაფად ჩამოსრიალდა, მივარდა ჯერ ისევ ცოცხალ კატუშას. კატუშამ უკანასკნელად გააღო ცისფერი, ცრემლით სავსე, თვალები... მისი წკრიალა ხმა ტკივილს დაეხშო. მან კისერზე შემოხვია ხელი ძმას და მისი თვალები სამუდამოდ დაიხუჭა. მეფის წყალობამ მის უმანკო სახეს სიცოცხლე მოსტაცა... კოლიამ მაგრად მოხვია ხელი დის ჯერ თბილ გვამს და მისი გაბმული კივილი გაისმა:

— ნუ ისვრით, ნუ! — მაგრამ მის ხმას არავინ უგდებდა ყურს.

კვლავ ისმის თოფების ხმა, კლავ იხოცებიან მუშები. ცხელმა ტყვიამ კოლიას მკერდიც შეარყია. შეკრთა, ათრთოლებული ხელი მაგრად მიიკრა მკერდზე. მისი უცნაური კივილი კვლავ გაისმა ჰაერში.

— მამა, მამილო! ეს როგორი წყალობაა?

სისხლით მეიღება ქვაფენილები.

სისხლი გარდაუვალ საზღვრად წვებოდა მეფესა და მუშებს შორის...

კლავდია დემდარიანი.



საუბარი ოქტომბრელთან

(როგორ დავიცვათ სისუფთავე)

ნახ. დონნის

— ოო, გამარჯვება გივის, გამარჯვება!

— შენც გამარჯვება!

— როგორა ხარ, გივი?

— კარგად.

— სადა ხარ ახლა, გივი, რას აკეთებ?

— ვსწავლობ, ოქტომბრელი ვარ.

— ყოჩაღ, გივი ყოჩაღ!

რაკი ოქტომბრელი ხარ, ისიც გეცოდინება, რომ ოქტომბერში მუშებმა და გლეხებმა დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოახდინეს ოქტომბრის რევოლუცია. ოქტომბრიდან იწყება ახალი ცხოვრება, ლენინისა და სტალინისაგან დამყარებული ახალი წყობილება, მუშებისა და გლეხების ხელისუფლება. ოქტომბრელი ოქტომბრის რევოლუციის შვილია, ოქტომბრელი არაფრით არ უნდა ჰგავდეს ძველ ადამიანს: არც თავისი აზრებით, არც თავისი სურვილებით, არც თავისი გარეგნობით.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხაჰ!

— რას ხითხითებ, გივი? ალბათ ჩემი სიტყვები სხვანაირად გაიგე!

— მაშ ყურიც სხვანაირი უნდა გვქონდეს, ცხვირიც, თვალიცა?

— დიახ, დიახ, ჩემო გივი! მაშ ამაზე გაგეცინა, შე ეშმაკო, შენა? თუ გინდა, რომ ახალი ადამიანი იყო, ნამდვილი ოქტომბრელი, ყურიც სხვანაირი უნდა გქონდეს, თვალიც, ცხვირიც — ერთი სიტყვით, მთელი გარეგნობით უნდა განირჩეოდე. როგორც შემოგხედავს ვინმე, მაშინვე უნდა თქვას: აი, ეს ნამდვილი ოქტომბრელიაო.

— რა ვქნა, ყურები, თვალები, ცხვირი ხომ ყველას ერთნაირი გვაქვს.

— საქმეც სწორედ მაგაშია, რომ შეხედულობით ერთნაირია და ოქტომბრელი კი ისე უნდა მოიქცეს, რომ სხვებისაგან განირჩეოდეს.

— რით?

— რითა და სისუფთავით. ჭუჭყიანი თვალი, ჭუჭყიანი ყური, ლოყები, თმა, კისერი — ოქტომბრელს სრულებით არ შეეფერება. ჭუჭყი, უსუფთაობა, სიბინძურე — ძველი ცხოვრების, ძველი ადამიანის თვისებაა. ჭუჭყი, სიბინძურე, შეუგნებლობა და სიბნელე — ძმები არიან. რაც უფრო ჭუჭყიანი იქნებოდენ მუშები და გლეხები, მით უფრო შეუგნებელნი იყვნენ. ძველ ბატონებსაც სწორედ ეს უნდოდათ: რაც უფრო შეუგნებელი იყვნენ მუშები და გლეხები, მით უფრო მტკიცე იყო მათი ბატონებისა და მყვლეფელების ტახტი და კეთილდღეობა.

სადაც ჭუჭყი და სიბინძურეა, იქ არც შეგნებაა, არც ჯანმრთელობა. ყოველგვარ გადამდებ სნეულებას იწვევენ პაწაწკინტელა არსებანი, რომლებსაც მეცნიერებმა ბაქტერიები დაარქვეს. თვალით მათი დანახვა შეუძლებელია; იმდენად მცირენი არიან, რომ ერთ წვეთ წყალში რამდენიმე მილიონი დაეტევა.

— მაშ როგორ დაინახეს?

— როგორ და არის ერთგვარი იარაღი, რომელსაც გამადიდებელი შუშები აქვს. მას მიკროსკოპი ჰქვია. პაწაწკინტელა საგანს ის აადიდებს ათასჯერ, ათიათასჯერ და აი ამ მიკროსკოპით დაინახეს ბაქტერიები.

— ბაქტერიებს საშინლად უყვართ ჭუჭყი და სიბინძურე, მრავლდებიან იქ და ასნეულებენ ადამიანს.

ვისაც ჯანმრთელობა უნდა, სისუფთავე უნდა დაიცვას.

ჭუჭყიანი ადამიანი უშნოა, ულამაზო, თვალს არ იამება მისი დანახვა, ოქტომბრელი კი უნდა იყოს ჯანმრთელიც, შნოიანიც, კოხტაც: რომ შეხედავ, თვალში გეამოს და გულმა გაიხაროს. ამისათვის კი უპირველესი მნიშვნელობა სისუფთავეს აქვს. ჭუჭყიანი ოქტომბრელი რა ოქტომბრელია!

თვალებში — წირპლი, ყურებში მტვერი, ცხვირი მოუხოცელი, თმა — ზინგლიანი, ტფუუჰ! დავიწყოთ თმიდან. გივი! შენ თამაში გინდა, ვარჯიშობა, სირბილი. თამაში იწვევს მტვრის ამოძრავებას, მაღლა ასვლას, მტვერი მოედება თმას, გაუჯდება თმის ძირებს და გააჭუჭყიანებს თავის ქალაზე კანს. ჭუჭყი გააჩენს სხვადასხვა ავადმყოფობას: სირსვილს, მუწუკებს, მხოტრავს, ქაჩალს და სხვას. ამიტომ ოთხ-ხუთ დღეში ერთხელ აუცილებელია თავის დაბანა თბილი წყლით და საპნით.

დღეც შეიძლება თავის დაბანა, ღამეც; მაგრამ დღისით თავის დაბანას არ გირჩევ. გივი: გარეთ გავარდები, თავი გაგიცივდება და ავად გახდები. თავი დაიბანე ყოველთვის ღამე, დაწოლამდის ორი საათით ადრე, კარგად, თავსაკრით შეიხვიე; ცოტახნის შემდეგ საჭმელი ჭამე, შემდეგ იკითხე რამე და მერე ჩაგორდი ლოგინში.

გრძელი თმა უფრო მეტ მტვერს იკრეფს და უფრო ჭუჭყიანდება, დაბანაც უფრო ძნელია. ამიტომ თმა უნდა გქონდეს ძირში შეკრეჭილი, ან ძალიან მოკლე. რაც უნდა მოკლე იყოს თმა, მაინც საჭიროა წმინდა სავარცხლით დავარცხნა დილით და ღამე. სავარცხელს ჩამოაქვს მტვერი და მკბენარი, რაც უმთავრესია. შენ, შეიძლება, ძალიან სუფთა ბიჭი იყო, გივი, შენი ამხანაგი კი არა. ერთად ყოფნის, თამაშობის, ჭიდაობის დროს შეიძლება გადმოგაღოღდეს მკბენარი და გაძვრეს თმაში. სავარცხელი მას დაიჭერს და მოგაშორებს. აქედან ცხადია შენთვის, რომ სისუფთავის დაცვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ყველა სუფთაა.

მტვერი მარტო თმას კი არ აჭუჭყიანებს, არამედ სახესაც. თამაშის, სირბილის დროს ლოყებზე, შუბლზე, კისერზე გამოგივა ოფლი, ოფლს მტვერი უერთდება და გაეკვრის კანს. შიგ გამრავლდებიან ბაქტერიები და სახეზე გაჩნდება მუწუკები, სირსვილი, წითელი ქარი და სხვ. ამიტომ საჭიროა პირისა და კისრის დაბანა დილით და დაწოლისას.

— სიცხე როცა არის, მე სამჯერაც ვიბან ხოლმე პირს.

— ძალიან კარგი გიქნია, ჩემო გივი! ვარჯიშობის შემდეგაც კარგია პირის დაბანა.

ზოგიერთმა იცის: შეისხამს ორ პეშვ წყალს სახეზე და გათავდა. ასე არ ვარგა, პირი კარგად უნდა დაიბანო წყლით და საპნით, შემდეგ რიგიანად შეიმშრალო.

მტვერი ედება თვალის ქუთუთოებს განსაკუთრებით წამწამების ძირში, და ჩნდება ძიძიბო, რაც შენისთანა ოქტომბრელს კიდეც აწუხებს, კიდეც აუშნოებს. ამიტომ პირის დაბანის დროს კარგად უნდა ქუთუთოებს ამობანა, შემდეგ რიგიანად ამოწმენდა და შემშრალება. თუ პირისახე ჭუჭყიანი პირსახოცით შეიწმინდე, გასუფთავების ნაცვლად ისევ გაისვრი სახეს. უნდა გქონდეს საკუთარი პირსახოცი, რომელიც ხუთ დღეში ერთხელ მაინც უნდა ირეცხებოდეს.

მტვერი ხომ ყურებშიაც შედის, ცხვირშიც. ყოველი დაბანის დროს კარგად უნდა გამოიწმინდო ყურები, ცხვირის ნესტოები, რომ არ გაჩნდეს შიგ მუწუკები. სულ უბრალო, პაწაწკინტელა მუწუკს ყურში ან ცხვირში შეუძლია დიდი ზიანის მოყენება: დასიება, კანის, ჯირკვლების ანთება, წითელი ქარი და სხვ.

— მე ძალიან ვიბან ხოლმე პირს, მაგრამ ხანდახან მუწუკი მიჩნდება.

— როგორც კი შენიშნავ მუწუკს, მაშინვე უნდა დააცხო ბამბით იოდი.

ყოველი ადამიანის პირში დაბინავებული არიან მილიონობით სხვადასხვა ჯიშის ბაქტერიები; თუ პირის ღრუს კარგად არ მოუარე, კარგად არ გამოირეცხე დილით, დაწოლისას და ყოველი იჯრის შემდეგ — ღრძილებზე, ენაზე, სასაზე, ლოყაზე შიგნიდან გაჩნდება წყლული; ზოგჯერ წყლული ისე სწრაფად იზრდება და ღრმავდება, რომ ლოყებს გამოალპობს და მოკლავს კიდეც ავადმყოფს.

ზოგჯერ ღრძილები სივდება, წყლულდება ავადმყოფს პირი უყარს, ღრძილებიდან ჩირქი და სისხლი სდის, კბილები ენძრევა და თანდათან ჩამოსცვივდება.

(გაგრძელება იქნება)

ივანე გოგმართელი

რატომ ქარა

ღამით პატარა თაგუნა ანთებულ სანთელს იპარავდა.

კატამ გაიგონა თაგუნას წრიპინი. მაღლა აიხედა.

სანთლის ახლოს ნამდვილი თაგუნა პატარად ჩანდა, ხოლო კედელზე — მოშორებით — მისი ლანდი დიდად.

კატამ იფიქრა:

— აქ ერთი დიდია, მეორე პატარა. მოდი დიდს დავიჭერო!

და კიდეც ისკუპა.

უნდოდა დიდი მსუქანი თაგვი დაეჭირა, მაგრამ ის ლანდი აღმოჩნდა.

კატამ კედელს შეახალა თავი, ძალიან გამწარდა, მაგრამ მაინც ასე ინუგეშა:

— თუ დავიჭერდი, სჯობდა ის დიდი თაგვი დამეჭირა, თორემ პატარა ჩემ ჯილდოდ არ ღირდაო!

სანდრო შანშიაშვილი

იცი თუ არა?

რა გამოარკვია პეპლებზე დაკვირვებამ

ერთი ამერიკელი მეცნიერი ძალიან დაინტერესდა პეპლებით. მან გადაწყვიტა გაეგო — აქვთ თუ არა გემოვნება პეპლებს.

ერთი პეპელა სულ მშიერი ჰყავდა ძას ქილაში, მუდამ აკვირდებოდა და გამოარკვია, რომ პეპელა 256 ჯერ უფრო უკეთ ატყობდა დაშაქრული იყო თუ არა წყალი, ვიდრე ადამიანი. საინტერესოა ვიცოდეთ — რით გებულობს პეპელა სხვადასხვა ნივთიერების გემოს? ესეც გამოარკვია იმ მეცნიერმა. თურმე პეპელა ფეხით გებულობს გემოს. ჩაყოფს წყალში ფეხს და მაშინვე გაიგებს, შაქრიანია ეს წყალი თუ არა.

ზოგი ადამინი რომ ლოთობს, ბევრ ღვინოს სვამს,—ეს ვიცით. ნეტავ ლოთი პეპელაც ხომ არ არის? თქვენ ალბათ იცინით, ბავშვებო: პეპელა ლოთი რანაირად იქნებაო? მაგრამ ერთმა მეცნიერმა ამერიკაში აღმოაჩინა ლოთი პეპელა. ტკბილი რამეები მას ეზიზღება, შაქრიანი წყალი რომ დაუდგა, არაფრის გულისათვის არ მიეკარება, მაგრამ მჟავე რამეებისათვის გიჟდება, ყველაფერზე მეტად კი წითელი ღვინო უყვარს.

ამ პეპელის დაჭერა ძნელია: სწრაფად დაფრინავს და ახლოს არ იკარებს ადამიანს, მაგრამ რადგან იციან მისი ლოთობის ამბავი, წითელ ღვინოს ჩაასხამენ ჭიქაში, ჩ ადგამენ ბალახებში და მიიმალებიან. პეპელა მალე გაჩნდება იქ და დაიწყებს ღვინის სმას. აი ამ ლოთობის დროს იჭერენ მას. ზოგჯერ მას ისე მოუნ-

დება ღვინო, რომ სახლშიაც შეფრინ-
დება, საიდანაც ღვინის სუნი სცემს.

დიდპირა

იცით, რა არის დიდპირა? თევზია, რომელსაც უზარმაზარი პირი აქვს და გრძელი კუდი, ვირთაგვის კუდის მსგავსი. ის ცხოვრობს ოკეანის ფსკერზე, ძალიან,

ძალიან დიდ სიღრმეზე. ჩაეფლობა სილაში, დააღებს პირს და საათობით იცდის. როგორც კი მიუახლოვდება საკვები, რამ, წაავლებს პირს და გამოძღება.

არის თუ არა ზღვაში ვარსკვლავი?

დიახ, არის, მაგრამ ის ცხოველია. ზღვის ფსკერზე ცხოვრობს და მართლა ვარსკვლავს ჰგავს. მას მაგარი ტანისამოსი აცვია — კირის ჯავშანი აქვს. პირი ქვეშ აქვს, შუაზე. ნელნელა მიბობღავს ზღვის ფსკერზე, წააწყდება ლოკოკინას და შეჭამს. ერთი ფეხი რომ მოსტეხო, ის მაგიერ ახალი ამოუა. ზღვაში ზოგიერთი ისეთი ვარსკვლავიც არის, რომლის ფეხზე პატარა ვარსკვლავი ამოვა ხოლმე. ასეთ ვარსკვლავს კომეტას ეძახიან.

კიბოს უფრო გრძელი ფეხი აქვს, თუ ოქტომბრელს?



კიბოს ფეხის რა მცოდნია! ოქტომბრელის ფეხი კი დიდია, გრძელია! — ასე ფიქრობთ, ალბათ. მართალია, ჩვენებური კიბო თვითონაც პაწაწაა და აბა მისი ფეხი რაღა იქნება, მაგრამ აბა იაპონის ზღვაში მიბრძანდი და იქაური კიბო ნახე! იქაური კიბოს ფეხის სიგრძე ერთი მეტრი მაინც იქნება. დააკვირდი სურათს და დაინახავ, რამდენად პატარაა ჩვენი კიბო იაპონურ კიბოსთან შედარებით.

ნ. ძ-ლი.

ჯორჯ სტეფენსონი და პირველი რკინისგზა

1781 წელს ინგლისელ მაღაროს მუშის ოჯახში დაიბადა ჯორჯ სტეფენსონი. ბავშვობიდანვე დიდ გაჭირვებას განიცდიდა იგი. 8 წლის სტეფენსონი მამამ ერთ მემამულესთან ძროხების მწყემსად დააყენა, დღეში 5 კაპეიკად. მწყემსობაში ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა პატარა ჯორჯს, აკეთებდა ხის სათამაშო მანქანებსა და წისქვილებს, ორთქლის მანქანებსა და მოდელებს. უნდა გენახათ, სიხარულისაგან როგორ ხტოდა პატარა ჯორჯი, როცა წყალი წისქვილის თვალს ატრიალებდა! უფრო მეტად უხაროდა, ორთქლის მანქანა რომ აამუშავა. ამ უცნაურმა სათამაშომ გააკვირვა მთელი მოსახლეობა და შორიდანაც კი მოდიოდენ მის სანახავად.

სტეფენსონი 17 წლისა იყო, უატის ორთქლის მანქანის ნაწილებით რომ დაინტერესდა, მაგრამ მისი შესწავლა ვერ მოახერხა, წერა-კითხვის უცოდინარობა უშლიდა ხელს. იგი შეუდგა სწავლას, დადიოდა მახლობელ სოფელში საღამოს კურსებზე. მუშები დასცინოდენ ჯორჯს: ვის გაუგონია ამოდენა კაცი ანბანს სწავლობდესო, მაგრამ იგი არავისა და არაფერს არ ეპუებოდა და გულმოდგინედ სწავლობდა. ერთი წლის შემდეგ მასწავლებელი გამოუტყდა სტეფენსონს: მე ყველაფერი გასწავლე, რაც თვითონ ვიცოდიო (მასთან ფიზიკასა და მათემატიკას სწავლობდა). ფულის შოვნის მიზნით სტეფენსონმა მეწაღლეობას მოჰკიდა ხელი და იშვიათი მოხელის სახელიც დაიმსახურა. აღებული ფულით ყიდულობდა წიგნებს და ხარბად სწავლობდა ორთქლის მანქანასა და მის ნაწილებს. ამ დღიდან მან მთელი თავისი სიცოცხლე ორთქლის მანქანის შესწავლას შესწირა.



ჯორჯ სტეფენსონი

ჯორჯ სტეფენსონის მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ მანქანა აემოძრავებია. ცდების შემდეგ სტეფენსონი ასეთ დასკვნამდის მივიდა: საჭიროა მანქანისთვის თვლების გაკეთება, და მანქანაც ამოძრავდებაო. სხვებიც ამ აზრისანი იყვნენ, მაგრამ ამგვარად გაკეთებულ მანქანებს დიდი დაბრკოლება ელობებოდა წინ: ოღროჩოღრო ადგილები და რბილი მიწა. სტეფენსონმა ეს დაბრკოლებაც სძლია და გადაწყვეტით თქვა: რკინისგზა უნდა გაკეთდესო. მან ხანგრძლივი მუშაობით კაკეთა პირველი რკინისგზა მსოფლიოში, სიგრძით 21 კილომეტრი. ამ გზამ შეაერთა ინგლისის ორი პატარა ქალაქი — სტოკტონი და დარლინგტონი.

1825 წლის 27 სექტემბერია. ამ დღეს რკინისგზის საზეიმო გახსნაა დანიშნული. უამრავი ხალხი მოაწყდა სტოკტონს, დარლინგტონს და გზის ნაპირებს. უმრავლესობა სეირის საყურებლად იყო მოსული: აბა ვნახოთ, როგორ აფეთქდება მატარებელიო, მაგრამ მოტყუვდენ. ხალხი გაფაციცებით შეჰყურებდა პირველ ლოკომოტივს და მის გამომგონებელ ჯორჯ სტეფენსონს. სტეფენსონი იდგა და ელოდა ნიშანს. ნიშანი რომ მისცეს, მატარებელი დაიძრა. პირველი მატარებელი გამარჯვებით მივიდა დარლინგტონში. რკინისგზის ასეთმა გამარჯვებამ ძლიერი ეახმაურება გამოიწვია ინგლისში და დაიწყეს ტრანსპორტის გარდაქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინისგზის გამოგონებით უკმაყოფილონი იყვნენ სხვადასხვა მიმოსვლის საზოგადოებები და არც მემამულეებს მოსწონდათ იგი. ისინი ზარალობდენ რკინისგზისაგან. მაგრამ მათი წინააღმდეგობა ამაო შეიქნა. იმავე ჯორჯ სტეფენსონმა გაიყვანა მეორე რკინისგზა ქალ. მანჩესტერსა და ლივერპულს შორის.

სტეფენსონმა გააკეთა ლოკომოტივი „რაკეტა", რომელიც მის წინანდელმავალთან შედარებით გაუმჯობესებული და სწრაფმავალი აღმოჩნდა. მისი სიჩქარე საათში 45 კილომეტრამდის აღწევდა.. სტეფენსონი დააჯილდოვეს, მისი სახელი გაითქვა სხვადასხვა ქალაქში. სტეფენსონს რჩევა-დარიგებისათვის ეპატიჟებიან ბელგიაში, ესპანეთში, საფრანგეთში და სხვაგან რკინისგზის გასაყვანად, რასაც იგი სიამოვნებით ასრულებს.

ბოლოს მთელი საქმე თავის შვილ რობერტს გადასცა, ხოლო თვითონ დასასვენებლად წავიდა. სტეფენსონი ერთი უმდიდრესი ადამიანთაგანი გახდა ინგლისში. მან მოაწყო მუშებისთვის შენახველი სალაროები, სამკითხველოები მუშათა შვილებისათვის და დააარსა ბავშვებისა და მოხუცებისთვის თავშესაფარი.

ჯორჯ სტეფენსონი 1848 წელს გარდაიცვალა.

110 წელი გავიდა პირველი რკინისგზის გაკეთების შემდეგ. ახლა რკინისგზით დაქსელილია მთელი დედამიწა, და ისეთ მიუვალ ადგილებშიაც კი არის დღეს მატარებელი, რომ მაშინ ამაზე წარმოდგენაც არ შეიძლებოდა. საბჭოთა კავშირმა დიდ წარმატებას მიაღწია ამ მხრივ. გაყვანილია ცნობილი ტურკსიბის გზა ციმბირის თვალუწვდენ ველებზე.

დიდი ზღვარია სტეფენსონის დროსა და ჩვენ დროს შორის. ტექნიკასა და მეცნიერებას იმდენად დავეუფლეთ, რომ ჰაერში დავფრინავთ და რკინისგზა აღარ გვაკვირვებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჯორჯ სტეფენსონის დამსახურება კაცობრიობის წინაშე ძალიან დიდია.

კლიმ. თევზაძე

ზ ა მ თ ა რ ი

ფაქიზ ბამბაში გახვეულა
ირგვლივ ხეები,
ნაძვის რტოები ირხევიან,
ქარი ქრის, ცივა,
ყრუ ბანს აძლევენ ლურჯ მთებს იქით
კლდე და ხევები...
ქარი შრიალებს, ლამაზ თოვლის
ფიფქები ცვივა.
ლურჯი ცა ახლა თეთრ ღრუბლებით
ამოქარგულა,
მოწყენით სხედან ბეღურები
გრძელ მავთულებზე.
აღარ ამშვენებს დღეს მინდორ-ველებს,—
ვარდი თეთრგულა...
მის ნაცვლად თოვლის ხალიჩაა
გაშლილი მთებზე.

ქეთო მღვიმელი

ბავშვთა შემოქმედება

საშეფო სოფელში

საათმა დარეკა. ბურანში ვიყავი და ვერ გავარჩიე რამდენი იყო. წამოვხტი. რვის ნახევარია. დედა უკვე ამდგარიყო და საუზმეს ამზადებდა. უცებ დავიბანე პირი. ცივმა წყალმა გამომაფხიზლა. თმა დავივარცხნე და მაგიდას მივუჯექი სასაუზმოდ, მამა კი ჩემ პატარა ჩემოდანს ალაგებდა. სრულ რვა საათისთვის გამოვედით მე და მამა ოთახიდან...

ღამე დიდი თოვლი მოსულა.

მე და მამაჩემი ვაბიჯებთ მაღალ თოვლში და სადგურისკენ მივიჩქარით. გამოჩნდა სადგურიც, გათეთრებულია.

დარბაზში შესვლისთანავე დავინახე ჩემი ორი მასწავლებელი. ისინიც ჩვენთან მოდიან. მივესალმე. იქვე დანარჩენი ამხანაგებიც ისხდენ. ერთი ამხანაგი გვაკლდა. სანამ პალტოს გავიბერტყავდი, ისიც მოვიდა. დავიწყეთ მხიარული სიცილი, მამა მასწავლებლებს ელაპარაკებოდა. ცოტახნის შემდეგ მატარებელში შევედით. მე ფანჯარასთან დავჯექი. წასვლის ზარია. მე გამოვყავი ჩემი შეფუთვნილი თავი და მამას უკანასკნელი სალამი ცხვირსახოცით გავუგზავნე.

მატარებელი გასცილდა ტფილისის მიდამოებს. ისევ ფანჯრიდან ვიცქირები. ჩემ თვალწინ გარბის თოვლით დაფენილი მთები და მინდვრები.

ორთქლმავალმა უკანასკნელად დაიკივლა, აქშინდა და გაჩერდა. გადმოვედით. ვიკითხეთ სოფელი №-ის სკოლა და იქით გავემართეთ. მატარებლიდან ახლად გადმოსულთ სიარული დაგვეზარა, მაგრამ ზარმაცობას გავუმკლავდით და სიცილით გავიქეცით. ვოხუნჯობდით, ვგუნდაობდით.

სკოლა შუა სოფელში იყო, იქვე იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანიც. მთელმა სოფელმა გაიგო ჩვენი მისვლა.

— ამხანაგო კომიტეტის მდივანო, დღეს პიონერების კრება უნდა ჩავატაროთ აქ. ხომ შეგიძლიათ კრების მოწვევა?—ჰკითხა ჩვენმა ხელმძღვანელმა.

— მაგაზე ადვილი რაღა იქნება, მოვიწვევ,— ღიმილით უპასუხა მან.

მერე კომიტეტის მდივანმა სასადილოში წაგვიყვანა. გემრიელად ვისადილეთ, რადგან დილის საუზმის შემდეგ არაფერი გვეჭამა. ნასადილევს გარეთ გამოვედი, მიმოვიხედე. თოვლის თეთრ საბანში გახვეული სახლების წინ გლეხები ფუსფუსებდენ. გატიტვლებული ხეები თოვლის ქვეშ მოქცეულიყვნენ. თოვლის სიმძიმეს ტოტები დაეწვინა და დაღონებულნი გამოიყურებოდენ.

სანამ კრება დაიწყებოდა, სკოლის ეზო მთლად გაივსო სიცოცხლით სავსე პიონერებით. მათი მხიარული სიცილ-კისკისი ცას სწვდებოდა.

კრება 5 საათზე დაიწყო.

გაცხოველდა კამათი.

ჩვენი საშეფო სკოლის პიონერებს მივუტანეთ გლობუსი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის რუკები. ჩვენმა საჩუქარმა დიდი სიხარული გამოიწვია.

კრება გვიან გათავდა.

ბნელოდა.

მბჟუტავი ლამპების მაგივრად კაშკაშებდენ ელექტრონათურები. სოფელი თეთრია, გზას ადვილად ვაგნებთ. ცა უკვე მოწმენდილია, დინჯად ამოცურდა ტატნობზე მთვარე. ისედაც თეთრი სოფელი უფრო გაანათა მისმა კაშკაშმა. ჩავუარეთ „კომუნას“, საიდანაც ტკბილი ხმაშეწყობილი სიმღერა ისმოდა. მაღლობს რომ შევუდექით, სიამოვნებით გადავხედე სოფელს. ძალიან მომეწონა: ლამაზი იყო თეთრად დათოვლილ მთვარიან ღამეში.

ადგილობრივმა პიონერებმა მხიარულად გამოგვაცილეს. მატარებელმა ისევ გუგუნით გამოგვაქანა ტფილისისკენ.

შინ რომ მივედი, ათასნაირ კითხვას მაძლევდენ.

მე თავმომწონედ ვუამბობდი სოფლისა და ჩვენი კავშირის ამბებს!

ლენა გოგოლაშვილი

(ტფილისის III სკ. მე-10 კლასის მოწაფე)

ფასი 50 კაპ. № 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ამოცანები

(ჩაწერილია ხარაგოულის რაიონ. სავლე ბულაძის მიერ)

1. გალიაში იყვნენ კურდღლები და ხოხბები, სულ 94 ფეხი და 35 თავი. რამდენი ყოფილა კურდღელი და რამდენი ხოხობი

2. გზაზე მიდიოდენ მამა და ორი ვაჟიშვილი. მიადგენ ერთ მდინარეს. მდინარეზე ხიდი არ იყო, ნავით უნდა გასულიყვნენ. როგორ გავიდოდენ, თუ მამა იწონიდა 3 ფუთს, თითოეული ვაჟიშვილი ფუთნახევარს, ნავი კი 3 ფუთზე მეტ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა?

რა ფრინველია?

არ წააგავს მგოსან ბულბულს
და არ არის მომღერალი,
ან ქორივით წიწილასკენ
არ უჭირავს მტრულად თვალი.
ფუღუროში განგებ ბუდობს,
რომ ქარ-წვიმა არ ხვდებოდეს
და თავისი ბარტყებისთვის
საზრდო მუდამ ახლოს ჰქონდეს.
ტყეს და ბაღებს არ შორდება,
ხეებს ნისკარტს უკაკუნებს,
ყველა ჯურის მავნე მწერებს
მუსრს ავლებს და ანადგურებს.

ალ. საბინოელი.

აპროსტიხი

ვ ე ნ ა ხ ი	— მცენარე, რომელიც ყურძენს ისხამს.
ა ტ ა მ ი	— ხილია, გორისა — განთქმულია.
ე ო ლ ა	— ვაჟის სახელი
ა ლ ა ზ ა ნ ი	— მდინარე კახეთში.
ფ ო თ ი	— ქალაქია კოლხიდაში
ბ ა ბ ვ ი	— ფრინველია.
ა ბ ა ნ ო	— ადგილი, სადაც საბანაოდ დავდივართ.
ვ ე ხ ც ხ ლ ი	— ლითონია.
ე თ ე რ ი	— ქალის სახელია.
ი ო ბ ი ლ	— უძლიერესი ცხოველი.
ა ბ ვ ი ლ ტ ო	— წლის მერვე თვე.

წერტილების ადგილზე ჩავსვათ დანაკლისი ასოები ისე, რომ სიტყვების პირველი ასოებიდან (ზევიდან ქვემოთ) მივიღოთ ჩვენი საყვარელი მწერლის სახელი, რომლის გარდაცვალების 20 წლის თავიც აღინიშნა ამ ახლო წარსულში.

კლ. თევზაძე